საქართველო
ლენტეხის
მუნიციპალიტეტის
მერია

საქართველო, 2900 ლენტეხი, თამარ მეფის
ქ. 24 ტელ: (+995) 595-07-35-17
ელ.ფოსტა: Lentekhi@yahoo.com

GEORGIA
LENTEKHI
MUNICIPAL
CITY HALL

24, Tamar Mefe Street , 2900 Lentekhi,
Georgia, Phone: (+995) 595-07-35-17
e-mail: Lentekhi@yahoo.com

N 1660/08
17/08/2021

1660-08-2-202108171658

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ცანას ტერიტორიაზე 1938 წლიდან ფუნქციონირებდა დარიშხანის სამთო-ქიმიური კომბინატი, სადაც წარმოებდა დარიშხანშემცველი მადნის გადამუშავება, გამდიდრება, გამოწვა და თეთრი დარიშხანის რაფინირება. წარმოების პროდუქციის ძირითადი სახეობა იყო რაფინირებული დარიშხანის ანჰიდრიდი - As_2O_3 (თეთრი დარიშხანი I ხარიხის 99,9% შემცველობით, II ხარისხი – 99,5%-ის შემცველობით) და მეტალური დარიშხანი. დარიშხანშემცველი მადანი მოიპოვებოდა სოფ. ყორულდაშის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბადოებიდან, ასევე რაჭის საბადოებიდან, ნედლეულის ნაწილის ტრანსპორტირება ხორციელდებოდა რუსეთიდან.

1993 წელს დარიშხან შემცველი მადნის გადამამუშავებელმა წარმოებამ შეწყვიტა ფუნქციონირება. ამჟამად საწარმოს ინფრასტრუქტურა ამორტიზირებული და დაშლილია. მიმდებარე ტერიტორიებზე დასაწყობებულია და მიმობნეულია 100–110 ათასი ტონა დარიშხანშემცველი ნარჩენი, რაც მნიშნელოვან საფრთხეს წარმოადგენს გარემოსა და ადამიანს ჯანმრთელობისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მოაწყოს დარიშხანშემცველი სახიფათო ნარჩენების 2 საცავი, სადაც განთავსდება როგორც დარიშხანის ნარჩენები, ასევე დარიშხანით დაბინძურებული სამშენებლო მასალები და გრუნტი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს პირველი დანართის, მე-16 მუხლის შესაბამისად („სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება") დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 14768
18 08 2021
02

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების (დარიშხანშემცველი ნარჩენები) განთავსების პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები CD დისკზე.

ამასთან გაცნობებთ საკონტაქტო პირის ვინაობას: იური გაზდელიანი - მერის თანაშემწე - ტელ: 577559270

პატივისცემით,

ბადრი ლიპარტელიანი

მერი